საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/255

27 ოქტომბერი, 2022 წ. ქ. ბათუმი

2022-2023 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, ,,2021-2022 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 15 ივნისის N283 დადგენილების, ,,2022 - 2023 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 12 აგვისტოს №92/ნ ბრძანების, ,,2022-2023 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 21 ოქტომბრის N06-01/109 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2022-2023 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსება (967,500 ლარის ფარგლებში) სულ 430 ადგილი, ბსუ-ს ბაკალავრიატის და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა კონტიგენტზე გადანაწილდეს შემდეგნაირად:

ა) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-85;
ბ) ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-50;
გ) მშენებლობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-45;
დ) აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-50;
ე) ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-80;
ვ) ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-55;
ზ) ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-25;
თ) ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-5;
ი) ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-5;
კ) მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-30;

2. წინამდებარე ბრძანება გაიგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ფაკულტეტებს).

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი ზუბალაშვილის ქ.№30) გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**